Capatox

ბიოციდის წყალხსნარი, სოკოვანი და წყალმცენარეებით დაბინძურებული ზედაპირების წინასწარი დამუშავებისთვის.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

გამოიყენება გარე და შიდა სამუშაოებისათვის, ზედაპირზე არსებული სოკოვანი დაბინძურების და წყალმცენარეების წინააღმდეგ, მომდევნო ფენის დატანამდე. გამოსაყენებლად მზა.

თვისებები

პროდუქტის ტიპი: სადეზინფექციო საშუალება PT 2 (ბიოციდის რეგულაციის 528/2012/EU მიხედვით).
Capatox მზად არის გამოსაყენებლად და აქვს დაბალი სიბლანტე.

მასალის შემკვრელი

ალკილ-დიმეთილ-ბენზილამონიუმ ქლორიდი, წყლიანი. 1

შეფუთვა

1 ლ, 5 ლ, 10 ლ.

ფერი

გამჭირვალე

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას. მოარიდეთ პირდაპირ მზის სხივებს და 40°C-ზე მაღალ ტემპერატურას.

ტექნიკური პარამეტრები

■ სიმკრივე: დაახლ. 1,02 გ/სმ3

დამხმარე პროდუქტები

FungiGrund

მითითება

არ შეურიოთ სხვა პროდუქტებს!

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია N. 606 - ის მიხედვით.

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
+	+	+	+	+

(–) არ არის შესაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები და ზედაპირის მომზადება

ინტერიერის ზედაპირები: მოაცილეთ ობის ნალექები სველი წმენდით. გთხოვთ გაითვალისწინეთ საკანონმდებლო და მარეგულირებელი რეგულაციები (მაგ. ბიოლოგიურად აქტიური და საშიში ნივთიერებების გამოყენების წესი).

ექსტერიერის ზედაპირები: ზედაპირზე არსებული ობი, წყალმცენარეები, ხავსი და სოკოვანი ინფექციები, მოაშორეთ წყლის მაღალი ჭავლის მიფრქვევით. გაითვალისწინეთ საკანონმდებლო და მარეგულირებელი რეგულაციები.

მცოცავი მცენარეები, ფოთლები და მცენარეული მტვერი: შეძლებისდაგვარად, სრულად ამოიღეთ ფესვები ნიადაგამდე, რათა თავიდან აიცილოთ ცოკოლის ზონის დაზიანება. ფოთლები და მტვერი მოაცილეთ მექანიკურად.

ჭვარტლის ნაწილაკები: გამოიყენეთ მხოლოდ მასიურ, მინერალურ ზედაპირებზე. დაიცავით ხანძარსაშიშროების სიფრთხილის ზომები.

CAPAROL

დატანის მეთოდები	**გაწმენდილი, მშრალი ზედაპირები:** დაიტანეთ Capatox-ი წრიული მოძრაობებით, ზედაპირის სრულ გაჟღენთვამდე (სასურველია ფუნჯით). ზედაპირი კარგად გააშრეთ. არ ჩამორეცხოთ წყლით. სამღებრო გორგოლაჭის გამოყენება შესაძლებელია შეზღუდულად, რადგან შესაძლოა წარმოიქმნას შხეფები.
ხარჯი	დაახლ. 50-150 მლ/მ2 - დამოკიდებულია ზედაპირის სტრუქტურასა და შეწოვადობის ხარისხზე. Capatox-ი ყოველთვის გამოიყენეთ განუზავებელი.
ხელსაწყოები	დაიტანეთ მხოლოდ ფუნჯით. ხელსაწყოები გამოყენებისთანავე გარეცხეთ წყლით .

შენიშვნები

უსაფრთხოების რჩევები	იწვევს კანის გაღიზიანებას. იწვევს თვალის მძიმე გაღიზიანებას. საზიანოა წყლის ორგანიზმებისთვის, ხანგრძლივი ეფექტით. არ დაუშვათ პროდუქტის გარემოსა და ნიადაგში გაშვება. ატარეთ დამცავი ხელთათმანები/დამცავი ტანსაცმელი/თვალის დამცავი სათვალე/სახის დაცვა. ექიმის კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, თან იქონიეთ შეფუთვა ან ეტიკეტი. **კანზე მოხვედრისას:** დაიბანეთ უხვად საპნით და წყლით. **თვალებში მოხვედრისას:** ფრთხილად ჩამოიბანეთ წყლით რამდენიმე წუთის განმავლობაში, ამოიღეთ კონტაქტური ლინზები, განაგრძეთ დაბანა. **კანის გაღიზიანების შემთხვევაში:** მიმართეთ ექიმს. **თუ თვალის გაღიზიანება გრძელდება:** დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. მხოლოდ პროფესიონალი მომხმარებლებისთვის! **მოარიდეთ ბავშვებს!** ფრთხილად გამოიყენეთ ბიოციდური პროდუქტები. პროდუქტი ექვემდებარება ბიოციდური პროდუქტების რეგულაციას (EU) 528/2012. BAuA ნომერი: N-70549. ბიოციდის ტიპი: PT 2 - სადეზინფექციო საშუალებები და სოკოს საწინააღმდეგო საშუალება, რომლებიც არ არის განკუთვნილი ადამიანებზე ან ცხოველებზე პირდაპირი გამოყენებისთვის. გაითვალისწინეთ ეტიკეტზე მითითებული ვარგისიანობის ვადები. შეიცავს: მეოთხეული ამონიუმის ნაერთები, ბენზილ-C12-16-ალკილდიმეთილი, ქლორიდები (16,1 გ/ლ), ფრთხილად გამოიყენეთ ბიოციდური პროდუქტები. გამოყენებამდე ყურადღებით გაეცანით ეტიკეტზე და ტექნიკურ პასპორტში მოცემულ ინფორმაციას.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას როგორც საღებავის ან ლაქის დანაკარგი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც სამშენებლო ან საყოფაცხოვრებო ნაგავი.
VOC (აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)	ამ პროდუქტის ჯგუფისთვის, არ არსებობს აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია, ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად. ეს პროდუქტი შეიცავს მაქს. < 1 გ/ლ VOC-ს.
პროდუქტის კოდი	Giscode: GD30
შემადგენლობა	წყალი, ბიოციდები
მონაცემები ეკოლოგიურობის შესახებ	გაწმენდილი და Capatox-ით დამუშავებული ზედაპირების - დამუშავების ინსტრუქციების მიხედვით - ზედაპირის შემდგომი ჩამორეცხვა არ შეიძლება, რათა შემდგომ არ წარმოიქმნას ნადენი წყალი. თუ ხელსაწყოების დასუფთავებისას წარმოიქმნება ნადენი წყალი, რომელიც შეიცავს Capatox-ს, ის შეიძლება კანალიზაციის სისტემის მეშვეობით გადავღვაროთ, რადგან კათიონური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, ინაქტივირდებიან და ბიოდეგრადირდებიან, სარეცხ და საყოფაცხოვრებო საწმენდ საშუალებებში ნაპოვნი, ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებთან შეხებისას. არ შეიძლება Capatox-ის ზედაპირულ წყლებში მოხვედრა (მათ შორის საწვიმარ დრენაჟებში). ასევე არ შეიძლება Capatox-ის, ნიადაგში და მიწისქვეშა წყლებში მოხვედრა. აქტიური ნივთიერება შეუთავსებელია ცივსისხლიან ცხოველებთან (თევზებთან). ფასადებზე მუშაობისას, ფასადთან სიახლოვეს მყოფი მცენარეები, ბუჩქები და ნიადაგი დაიცავით შხეფებისაგან (მაგ. გადაფარვით). სამუშაო ხსნართან უშუალო შეხებისგან, მცენარეები ზიანდება. თუ Capatox-ის ხსნარი მცირე რაოდენობით (შხეფები) მოხვდება ნიადაგში, აქტიური ნივთიერება კათიონური ზედაპირულად აქტიური თვისებების გამო, ჩერდება ნიადაგის ზედა ფენაში და ინაქტივირდება. ამ შემთხვევაში ნიადაგის და მიწისქვეშა წყლების დაზიანება არ არის მოსალოდნელი.
ინფორმაცია ჯანმრთელობის დაცვის შესახებ	Capatox-ი არის სპეციალური საწმენდი საშუალება, შიდა და გარე ზედაპირებისთვის. იგი შეიცავს კათიონურ ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებას, რომელსაც ეწოდება: ალკილ-დიმეთილ-ბენზილამონიუმ ქლორიდი. აქტიური ნივთიერება ასევე გამოიყენება, როგორც კათიონური საპონი კვების სექტორში. მაგალითად ზედაპირული დეზინფექციისთვის რძის საწარმოებში, ლუდსახარშებში, ხორცის გადამამუშავებელ ქარხნებში და ასევე საავადმყოფოებში, სათბურებში და პატარა საცურაო აუზებში. კოსმეტიკურ სექტორში, აქტიური ნივთიერება დამტკიცებულია დეზოდორანტებისა და კოსმეტიკური პროდუქტების კონსერვირებისთვის. ფარმაცევტულ სექტორში მისი გამოყენება შესაძლებელია, თვალის წვეთების და საინექციო პრეპარატების კონსერვირებისთვის. აქტიურ ნივთიერებას შეიცავს კანის სადეზინფექციო, ჭრილობის საწმენდი, ხელის სადეზინფექციო და ა.შ საშუალებები და გამოიყენება ჰოსპიტალურ სექტორში. Capatox-ის შემადგენლობაში შემავალი აქტიური ნივთიერების ფართო გამოყენება კვების ობიექტებში, ადამიანთა მედიცინისა და ჰიგიენის სფეროებში, აჩვენებს, რომ Capatox-ი შეიძლება უსაფრთხოდ იქნას გამოყენებული, შენობების შიდა და გარე ზედაპირებზე, სწორი მოპყრობის შემთხვევაში.
დამატებითი ინფორმაცია	Reg.-Nr. BAuA: N-70549

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge